მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის საკითხისათვის

თამარ ბერიძე -
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ბახტურიძე -
სტუ-ს დოქტორანტი

შემოსავლები ფართო ცნებაა. იგი მოიცავს კერძო პირს, საოჯახო მეურნეობას, კორპორაციას (ორგანიზაციას) და მთელ ეროვნულ ეკონომიკას. ამასთან კონკრეტული მსჯელობისას უნდა იქნეს მითითებულ რომელ მათგანზეა მსჯელობა, თუ ეს არ ჩანს კონტექსტიდან.

შემოსავლების ანალიზი საჭიროა მრავალმხრივი იყოს, მასში უნდა აისახოს ადამიანთა ცხოვრების კონკრეტული მხარე, კერძოდ, მოთხოვნილებათა ხასიათის მიხედვით დაკმაყოფილება, მისი ხარისხი. ადამიანთა სოციალური ჯგუფების, დასახლებული ადგილების, ქვეყნის ნაწილების მიხედვით და ა.შ. ამისათვის შემუშავებულია ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელი სისტემა.

შემოსავლები აუცილებლია განვიხილოთ საზოგადოების წევრების მიხედვით დიფერენცირებულად. უნდა გამოიყოს სოციალური ჯგუფები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, ეკონომიკის დარგები, ადამიანები პროფესიის მიხედვით, განათლების დონის მიხედვით და სხვ. განსაკუთრებით მნიშვმელოვანია მათი სულადობრივი სიდიდის და დინამიკის მაჩვენებელი. სწორედ ის იძლევა ზუსტ წარმოდგენას, თუ როგორია ცხოვრების დონე ქვეყანაში. ასევე უნდა განისაზღვროს შემოსავლის დიფერენცი-

აციის სხვა მაჩვენებლებიც. ასეთად იყენებენ შემოსავლების სიდიდის მიხედვით მოსახლეობის მეათედის ან მეხუთედის წვლილს შემოსავლების საერთო მოცულობაში. ამ მონაცემებით აგებენ ე.წ. ლორენცის მრუდს, რომელიც ასახავს შემოსავლების განაწილების უთანაბრობას. იგი წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის მთელი შემოსავლების ხვედრითი წონების განსაზღვრას მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით შემოსავლის დონეთა საფუძველზე. განისაზღვრება საშუალოსთან ერთად მედიანური სიდიდე და სხვა. ასე ვიღებთ შემოსავლების განაწილების, მისი უთანაბრობის კონკრეტულ სურათს.

მოხმარება საზოგადოებრივი კვლავწარმოების საბოლოო სტადიაა, რომელიც გულისხმობს მატერიალური დოვლათის გამოყენებას ამათუიმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მოთხოვნილება სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის ობიექტურად საჭირო მატერიალური დოვლათისა და მომსახურების, აგრეთვე სოციალური პირობების ერთობლიობას.

მოხმარების დასახასიათებლად გამოიყენება როგორც საერთო მოხმარების აბსოლუტური მოცულობა, ისე საშუალო სულადობრივი მოხმარებაც. ისინი გამოითვლება ზომის ნატურალური, პირობით – ნატურალურ და ფულად ერთეულებში. მოხმარება განსხვავებულია ასაკის, ეროვნების, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, შემოსავლებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. მოხმარების დინამიკას ახასიათებენ ინდივიდუალური და აგრეგატული ინდექსების გამოყენებით. კერძოდ, საშუალო სულადობრივი მოხმარების ინდექსი აიგება შემდეგნაირად:

$$I_{\text{საშ.სულა.მომხ.}} = \frac{\sum q_0 p_0 i_p}{\sum q_0 p_0} : \frac{\overline{S}_1}{\overline{S}_0} \quad \text{ანუ} \quad I_q : I_{\overline{S}}$$

სადაც I_q – მოხმარების ფიზიკური მოცულობის ინდექსია, q – პროდუქციის ფიზიკური რაოდენობა, p – ფასი, $I_{\overline{S}}$ – მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობის ინდექსია ($\overline{S}_1$ და $\overline{S}_0$ შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობას უჩვენებენ).

მოსახლეობის ცხოვრების დონე გულისხმობს მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების როგორც მოცულობას, ასევე

მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს.

მოსახლეობის დაყოფა საშუალო რაოდენობრივი ფულადი შემოსავლების დონის მიხედვით გაძნელებულია, რამეთუ არ არსებობს შემოსავლების სრული სტატისტიკური აღრიცხვა ოჯახური მეურნეობების მიხედვით, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კეთილდღეობის შეფასებას.

მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციას აწარმოებენ იმიტაციური მოდელების მეშვეობით. მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დაყოფის დასახასიათებლად გამოიანგარიშება რიგი მაჩვენებლები, კერძოდ:

- მოდალური შემოსავალი, ანუ შემოსავლის დონე, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება მოსახლეობის ფენებში;
- მედიანური შემოსავალი, ანუ შემოსავლის მაჩვენებელი, რომელიც იმყოფება განაწილების რანჟირებული რიგის შუაში. მოსახლეობის ნახევარს შემოსავალი აქვს მედიანურზე დაბალი, ხოლო მეორე ნახევარს – მედიანურზე მაღალი;
- მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი $_{\text{დეც}}$;
- ფონდების კოეფიციენტი (K_F);
- შემოსავლების კონცენტრაციის **ჯინის კოეფიციენტი** (K_L), რომელიც ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უტოლობის ხარისხს და რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$K_L = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$$

სადაც p_o – იმ მოსახლეობის წილია, რომელსაც არა აქვს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე მისი მაქსიმალური დონეა *i*-ურ ჯგუფში;

q_i – ჯგუფის შემოსავლების წილი მოსახლეობის საერთო შემოსავლების თანხაში, რომელიც იანგარიშება ნაზარდი ჯამით;

p_i – მხოლოდ ფულადი შემოსავლების მაჩვენებელია.

ჯინის კოეფიციენტი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. იგი იანგარიშება 0-დან 1-დე ინტერვალში. რაც უფრო ახლოსაა მოცემული კოეფიციენტი 0-თან, მით უფრო მაღალია შემოსავლების თანაბრობის დონე და მოცემული კოეფიციენტი, რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო მაღალია შემოსავლების უთანაბრობა. თანაბარი განაწილების ჯინის ინდექსი 0-ის ტოლია, აბსოლუ-

ტური უთანაბრობისას კი 1-ის.

გრაფიკზე გამოხატულია შემოსავლების არათანაბარი განაწილების ხარისხი, ე.წ. **ლორენცის მრუდი,** რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჯინის კოეფიციენტის გამოთვლა.

$$K_i = \frac{S_1}{S_1 + S_2} = \frac{S_1}{1/2} = 2S_1 = 1 - 2S_2$$

ამ ფორმულის მეშვეობით გაიანგარიშება ე.წ. **ჯინის კოეფიციენტი,** როგორც თანაბარი და ფაქტიური განაწილების ხაზებს შორის ფართობის შეფარდება, S_1 და S_2 ფართობების ჯამთან, რომელიც 1/2-ისტოლია.



ნახ.1 ლორენცის მრუდი

ცხრილი 3. ჯინის კოეფიციენტები საქართველოს შინამეურნეობებში, 2006-2012 წლებში

	By total incomes[1]	By total cash inflows[2]	By total inflows[3]	By total consumption expenditures[4]	By total cash expenditures[5]	By total expenditures[6]
2006	0.45	0.53	0.47	0.40	0.47	0.42
2007	0.46	0.53	0.47	0.41	0.48	0.43
2008	0.45	0.53	0.47	0.41	0.49	0.44
2009	0.46	0.53	0.48	0.42	0.49	0.44
2010	0.46	0.52	0.48	0.43	0.50	0.46
2011	0.46	0.52	0.48	0.42	0.50	0.46
2012	0.43	0.49	0.46	0.41	0.49	0.45

[1] Total incomes include cash incomes and transfers and non-cash incomes

[2] Total cash inflows include cash incomes and transfers and other cash inflows

[3] Total inflows include cash inflows and non-cash incomes

[4] Total consumption expenditures include cash consumption expenditures and non-cash expenditures

[5] Total cash expenditures include cash consumption expenditures and cash non-consumption expenditures

[6] Total expenditures include cash expenditures and non-cash expenditures

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ შინამეურნეობებში ფულადი შემოსავლების მიხედვით ჯინის ინდექსი საანალიზო პერიოდში თითქმის სტაბილურია და მერყეობს 0,53 – 0,49 შორის. ჯინის ინდექსი 2006-2012 წლებში მთლიანი შემოსავლების მიხედვით შემცირდა 0,45-დან 0,43-მდე, ფულადი ხარჯების მიხედვით გაიზარდა 0,47-დან 0,49-მდე, მთლიანი ხარჯების მიხედვით – 0,42-დან 0,45-მდე, მთლიანი მოხმარების მიხედვით კი – 0,40-დან 0,41-მდე.

ჯინის კოეფიციენტი (უთანაბრობის მაჩვენებელი) საქართველოს შინა-მეურნეობების მთლიანი მოხმარების მიხედვით 2006-2012 წწ. გრაფიკულად გამოსახულია ნახაზზე.



საქართველოს შინამეურნეობებში შემოსავლების განაწილება, გარკვეულად, შორსაა გამოთანაბრებისაგან, მაგრამ წლების მიხედვით სტაბილურ ხასიათს ატარებს. ქვეყნის შინამეურნეობებში, ეკონომიკური საქმიანობის განვითარებასთან ერთად, მომავალში, შესაძლებელი გახდება ჯინის ინდექსის თანდათანობით შემცირება და შემოსავლების გამოთანაბრების მიღწევა.

შინამეურნეობებში ცხოვრების დონე, უთანაბრობის მაჩვენებლები შეფასებულია ორი სხვადასხვა ზღვრის მიმართ:

- მედიანური მოხმარების 60%;
- მედიანური მოხმარების 40%.

მედიანური მოხმარების 60 პროცენტი და მედიანური მოხმარების 40 პროცენტი ფარდობითი ზღვრებია, რომლებიც მთლიანი მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება. მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანა მოხმარების ისეთი სიდიდეა, როდესაც მოსახლეობის ნახევარი (50%) მასზე არანაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი – მასზე არაუმეტესს მოიხმარს.

საქართველოში აღნიშნულ მაჩვენებლებზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 4 და ნახაზი.

ცხრილი 4. მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლები 2004-2012 წლებში[1]

მაჩვენებლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	24,6	24,1	23,3	21,3	22,1	21,0	22,7	23,0	22.4
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	10,9	10,1	9,4	9,2	9,5	8,8	10,0	10,4	9.3



ცხრილში წარმოდგენილი მასალის გაანალიზების შედეგად ჩანს, რომ სიღარიბის დონე საქართველოში 2012 წელს, 2004 წელთან შედარებით, მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ შემცირდა 24,6%-დან 22.4%-მდე, ხოლო მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ 10,9%-დან 9.3%-მდე. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქვეყანაში შეიმჩნევა სიღარიბის მაჩვენებლების შემცირების ტენდენცია.

მოსახლეობის დიფერენციაციის საშუალო სულადობრივი შემოსავლების მონაცემთა საფუძველზე განისაზღვრება იმ მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებსაც გააჩნიათ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლები. ქვეყანაში სიღარიბის დონის დინამიკის ანალიზისათვის გაიანგარიშება ორი მაჩვენებელი:

1. სიღარიბის სიღრმის ინდექსი

[1]ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით [2; 33; 34; 35; 46].

$$I_1 = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\frac{(C_{\text{ᲛᲘᲜ}} - D_i)}{C_{\text{ᲛᲘᲜ}}}$$

2. სიღარიბის სიმწვავის ინდექსი

$$I_2 = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\frac{(C_{\text{ᲛᲘᲜ}} - D_i)^2}{C_{\text{ᲛᲘᲜ}}}$$

სადაც – გამოსაკვლევი ოჯახური მეურნეობის საერთო რიცხოვნობაა, n – ოჯახური მეურნეობების რიცხოვნობა, რომელთა შემოსავლები საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებია, i – მათი რიგითობის ნომერი, D_i – სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით გათვლილი i–ური ოჯახური მეურნეობების საცხოვრებელი მინიმუმის საშუალო სულადობრივი სიდიდე. $C_{\text{ᲛᲘᲜ}}$ – ოჯახური მეურნეობების საშუალო სულადობრივი შემოსავალი, რომლებსაც გააჩნიათ საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი.

ზემოთმოყვანილი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ დიფერენციაციას, არცთუ იშვიათად, წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებენ, მაგრამ მათი გამოყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემაში თავის აქტუალობას არკარგავს, რის გამოც მათი გამოთვლის მეთოდოლოგია შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

არსებობს სიღარიბის დონის რამდენიმე მაჩვენებელი. 2004 წლამდე სახელმწიფო სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებდა, ვიდრე შემდგომ. 2002 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, საარსებო მინიმუმის მიხედვით, მოსახლეობის 52% იყო, 1994 წელსესმაჩვენებელიშეადგენდა 80%-ს, 1995 წელს – 60%-ს. სიღარიბის დონე ყველაზე დაბალი იყო 1996-97 წელს – დაახლოებით 46%.

2004 წლიდან სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა მოახდინა საარსებო მინიმუმის კორექტირება და გათვლის ახალი მეთოდოლოგიით, თითქმის მესამედით შეამცირა სამომხმარებლო კალათის ღირებულება, რის შედეგადაც სიღარიბის დონე სტატისტიკურად მკვეთრად შემცირდა და 2004 წელს მაჩვენებელი 52%-დან 35.7%-მდე დაეცა, ხოლო 2005 წელს კი 39.4% შეადგინა.

2006 წლიდან სახელმწიფომ გააუქმა უმუშევართა ყველანაირი დახმარება და სოციალური დაცვის და დასაქმების ღონისძ-

იებები შეუერთა უკიდურესად შეჭირვებული ადამიანების მიზნობრივად ორიენტირებული დაცვის სისტემას. 2006 წლამდე იანგარიშებოდა სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმკაცრე. 2007 წლიდან კი ეს მაჩვენებლები აღარ გამოქვეყნებულა.

ამჟამად ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს სიღარიბის აბსოლუტურ მაჩვენებელს და, ძირითადად, ფარდობით მაჩვენებლებს იყენებს, რაცართულებსიმისიდენტიფიცირებას, თუ რამდენი ადამიანის შემოსავალია საარსებო მინიმუმის ქვემოთ.

მინიმალური საარსებო დონე

მინიმალურისაარსებოდონე (წლისბოლოს, ლარი)	"ძველი" სამომხმარებლოკალათა			"ახალი" სამომხმარებლოკალათა							
	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
შრომისუნარიანი ასაკისმამაკაცი (ლარი)	114.5	118	127.9	136	96.2	98.3	120.3	115.9	130.7	126.1	149.6
საშუალოდშინამეურნეობა (ლარი)	199.2	205.2	222.4	236.7	161.4	164.9	201.7	194.4	219.3	211.5	250.9

წლის მონაცემებით: საარსებო მინიმუმი: შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცი - 151,1 ლარი; საშუალო მომხმარებელი - 133,8ლარი; საშუალო ოჯახი -253,5 ლარი.

მსოფლიო ბანკის მონაცემებითკი, ღარიბია ადამიანი, რომლის შემოსავალი დღეში 1.25 დოლარზე ნაკლებია. ამ მაჩვენებლით, ექსტრემალური სიღარიბის დონე საქართველოში, ლარის დოლარზე მიმდინარე კურსის მიხედვით, შეადგენს **68 ლარს** თვეში ერთ სულ მოსახლეზე. ხოლო სიღარიბის დონე კი შეადგენს 2 დოლარს დღეში, რაც, ლარზე გაანგარიშებით,**110 ლარია** თვეში ერთ სულ მოსახლეზე.

გაჭირვებული ოჯახების რაოდენობა სოფლად მეტია, ვიდრე ქალაქად, თუმცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების წილი ქალაქებში მეტია. გარდა ამისა, ღარიბი ოჯახების წილი თბილისში უფრო ნაკლებია, ვიდრე მათი წილი მთლიან მოსახლეობაში. დედაქალაქში ღარიბი ოჯახების წილი აგრეთვე ნაკლებია სხვა ქალაქებთან შედარებით.

სიღარიბე ქალაქებში ძირითადად ასოცირდება კვების პროდუქტების არასაკმარის მოხმარებასთან, რაც მწვავე და ღრმა სიღარიბის გამოხატულებაა, მაშინ, როდესაც სოფლად სიღარიბე ნაკლებად არის დამოკიდებული კვების პროდუქტების მოხმარებაზე, რადგან სოფლის მოსახლეობა ძირითადად თავად აწარმოებს კვების პროდუქტებს. სიღარიბის ზღვარს ზემოთ სოფლად ცხოვრების პირობებს განსაზღვრავს საკუთარი მოსავალი, პირუ-

ტყვის და ფრინველის რაოდენობა. იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2010 წლის ნოემბერში, რესპონდენტთა 25%-მა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ფული კვების პროდუქტების შესასყიდად, ხოლო 42%-მა კი განაცხადა, რომ ისინი ყიდულობენ კვების პროდუქტებს, მაგრამ არ რჩებათ ფული ტანსაცმლის საყიდლად.

2012 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევის თანახმად, კი რესპონდენტებმა უმთავრეს პრობლემად მიიჩნიეს დასაქმება, სიღარიბე და აღნიშნეს, რომ ამ მხრივ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა გაუარესდა.

2012 წლის მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის ოდენობა შეადგენს 435691.

სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი მუშაობს, მაგრამ ეს სექტორი აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ მეათედზე ნაკლებს. სოფლის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი დამოკიდებულია საკუთარ შინამეურნეობაზე. აგრარულ სექტორში ძირითადად მცირე მეურნეობები არსებობს და მათი უმრავლესობა უზრუნველყოფს მხოლოდ მინიმალურ საარსებო მოხმარებას.

სიღარიბე კიდევ უფრო მაღალია შორეულ, მთიან და მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობაში, სადაც სოფლის მეურნეობის ან ტურიზმის განვითარებისათვის არასახარბიელო პირობებია და არ არის ან არასაკმარისია სოციალური და ფინანსური მომსახურება.

საქართველოს არც ერთი რეგიონი არ არის სიღარიბის ან უკიდურესი სიღარიბის გარეშე. თუმცა, ამ ასპექტში განსხვავებები რეგიონების მიხედვით საკმაოდ მკვეთრია: სიღარიბის დონე ღარიბ რეგიონებში რამდენჯერმე აღემატება შედარებით მდიდარი რეგიონების ამავე მაჩვენებელს. კერძოდ, მაღალია სიღარიბის დონე იმ რეგიონებში, სადაც ტრადიციულად სოფლის მოსახლეობის მაღალი წილია მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, მათ შორის, იმერეთის რეგიონში, სამეგრელო-ზემოსვანეთის დასამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. რეალურად ყველა აგრარული რეგიონის მოსახლეობის სიღარიბის უმნიშვნელოვანესი პრობლემა უკავშირდება შინამეურნეობების დაბალ პროდუქტიულობას. აჭარაში და სამეგრელოში ყველაზე დაბალია სიღარიბის სიმწვავე, ხოლო იმერეთში კი – ყველაზე მაღალი. მაღალია სიღარიბის დონე სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და მთიანი აჭარის ნაწილში. მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი, რომელ-

იც საკუთარ თავს მოიაზრებს საარსებო შემწეობების მიმღებ პოტენციურ კანდიდატად, ცხოვრობს მთიან რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, (57%) და მცხეთა-მთიანეთის (41.1%) ტერიტორიაზე.

ბოლო წლებში სოფლად მაცხოვრებელი ოჯახები ჩამორჩებიან ქალაქს თითქმის ყველა ძირითადი პარამეტრის მიხედვით. აშკარა ჩამორჩენაა დასაქმებულთა შემოსავლებში: სოფლად დასაქმებულთა შემოსავლები შეადგენს ქალაქად დასაქმებულთა შემოსავლების მხოლოდ 31.6%-ს. დაბალია შემოსავლების წილი სოფლად არასასოფლო დანიშნულების თვითდასაქმებიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებში (34.7%). თუმცა, საშუალოდ არაფულადი შემოსავლები სოფლის მოსახლეობაში 6.1-ჯერ მაღალია, ვიდრე ქალაქად (შესაბამისად, 139.2 ლარიდა 25.6 ლარი). თუმცა, ეს უპირატესობა პირობითია, რადგან ნატურალური შემოსავლების გაანგარიშება ხდება საბაზრო ფასებით, რაც ხელოვნურად ზრდის სოფლის ოჯახების მოხმარების პოტენციალს. მიუხედავად ამისა, სიღარიბე სოფლად 20-25%-ით აღემატება სიღარიბეს ქალაქად და ეს სხვაობა ყოველწლიურად სულ უფრ ოიზრდება.

ქალაქი-სოფლის ჭრილში სიღარიბეში სხვაობა ღრმავდება და დასაქმების სტრუქტურებში განსხვავების შედეგად, იზრდება უთანასწორობა მცირე და დიდ ქალაქებს შორისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 /საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013.
2. ლიპარტია ზ., ბერიძე თ., ქინქლაძე რ. სტატისტიკა. „სტუ", ტ.1, თბ., 2009
3. ციმინტია კ., ჭანია მ., შინამეურნეობები და ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები. თბ., 2005.
4. Домохозяиства, семья и семейная политика /Под. ред. Елизарова В. В., Зверевой Н. В. - М., 1997.
5. Социальная статистика. Учебник / Под ред. Елисеевой И. И. – М.: Финансы и Статистика, 1997.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შემოსავლები და ხარჯები. 2012 წელი, www.geostat.ge
7. საქართველოს შინამეურნეობები: 2008. სტატისტიკური კრებული /საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი. – თბილისი, 2009.

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის საკითხისათვის

თამარ ბერიძე -
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ბახტურიძე -
სტუ-ს დოქტორანტი

შინამეურნეობა სამეურნეო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გვხვდება და ამიტომ მისი გავლენა ეკონომიკური პროცესების მსვლელობაზე ძალზე დიდია. ამის გამო საინტერესოა შინამეურნეობების, მათი შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შესწავლა ეკონომიკურ ურთიერთობათა სიტემაში. საზოგადოებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შემოსავლების სამართლიან განაწილებას, რაც უკავშირდება მათ სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციებს,ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მოტივაციას.

დღეისთვის, ქვეყნების უმრავლესობაში, არ არის მიღწეული შემოსავლების სათანადო დონე და ასევე მისი სამართლიანი განაწილება. ორივე მიმართულებით არსებობს პრობლემები, რადგან ეს ფაქტორები უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა უდიდესი ნაწილის კეთილდღეობაზე. ეს პრობლემა მწვავედ დგას საბაზრო ეკონომიკაზე ბოლო პერიოდში გადასულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ჩვენი ქვეყნის წინაშე დიდი გამოწვევაა მიაღწიოს შემოსავლების ყველა წყაროების მკვეთრ ზრდას და მათ სამართლიან განაწილებას.

QUESTION OF DIFFERENTIATION OF INCREASE OF POPULATION

TAMAR BERIDZE -
Doctor of Economic Sciences
ZURAB BAKHTURIDZE -
PhD student of GTU

State's incomes are sources of improvement of humans' lives and welfare, as well as sources of development of economy and every field. Raising incomes is a very important objective for society. In Georgia there are two problems related to incomes: raising of total incomes and reducing the inequality of distribution. In Georgia index of households' incomes is Gini coefficient. It shows the deviation of actual distribution of incomes related to equal distribution line. If economical activities will develop in Georgian households, it will be possible to decrease Gini coefficient step by step and to achieve the equality of incomes.